შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“
LTD "MARNEULI MEDICAL COLLEGE"

ქ.მარნეული 27 ოქტომბერი 2022 წ

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის

ბრძანება N01/58

შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯის'' სტრატეგიული გეგმის ახალ სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ

შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოელჯის'' დებულების, 2022 წლის 27 ოქტომბრის N 04/117 ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის სტრატეგიული გეგმა დანართი 1 ის შესაბამისად;
2. კოლეჯის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს სტრატეგიული გეგმის გაგაზავნა ელექტრონულ ფოსტაზე დაინტერესებული პირებისათვის.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ბოლნისი სულხან საბას 113

შპს ,, მარნეულის სამედიცინო კოლეჯი''
დირექტორი
მამუკა ჭყონია

მისამართი: 3000 ქ. მარნეული; 26 მაისის ქ.80 ტელ. 599-04-11-84
ელ. მისმართი: mscollege.edu@gmail.com
Marneuli; 26 May Street N80; Phone 599-04-11-84

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

ადმინისტრაციული პერსონალის სხდომის

ოქმი №04/117

ქ. მარნეული

2022 წლის 27 ოქტომბერი

2022 27 ოქტომბერს ჩატარდა შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. მამუკა ჭყონია - დირექტორი
2. გიორგი კვარაცხელია - დამფუძნებელი
3. ლევან გვარამაძე - დირექტორის მოადგილე
4. ნატალია ბარათელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
5. ირმა ლომაია - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
6. გვანცა ტალახაძე - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი
7. მერაბ მელია - ფინანსური სამსახური
8. სოფიო დარახველიძე-უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.
9. ინგა გოგოჭური - ბიბლიოთეკარი
10. მიხეილ ნარსია - საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
11. შორენა კუპატაძე - სტუდენტური მომსახურების უწყვეტი განათლების და კარიერული განვითარების ცენტრის უფროსი
12. ცისმარი ანდრიაშვილი - საქმისწარმოებისსამსახურის უფროსი
13. ნინო გულუა - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი
14. ირმა ბიტიაშვილი - ექიმი
15. ცისმარი ანდრიაშვილი-საქმისწარმოების სამსახურის უფროსი.
16. ზაზა ქამუშაძე - პროფესიული მასწავლებელი
17. მაია მდივნიშვილი - პროფესიული მასწავლებელი
18. მანანა კაპანაძე - შპს მანანა კაპანაძე
19. ი/მ ლია ჭიყლაძე - ლია ჭიყლაძე
20. შპს მარნეკორი - შორენა მეტრეველი

სხდომის თავმჯდომარე - მამუკა ჭყონია

სხდომის მდივანი - ცისმარი ანდრიაშვილი

დღის წესრიგი:

1. შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის " 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის განხილვა-დამტკიცება.

მოისმინეს:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ნატალია ბარათელის ინფორმაცია - შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ახალი სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის განხილვა - დამტკიცება.

ნატალია ბარათელი: კოლეჯი განვითარების ახალ ეტაპზე გადადის. იმისათვის, რომ კოლეჯი იყოს გაზარზე კონკურენტუნარიანი და მისი საქმიანობა იყოს წარმატებული და ეფექტიანი, უნდა შევიმუშაოთ სამომავლო ხედვა უნდა გავწეროთ კოლეჯის საქმიანობის გეგმა - რომელიც კოლეჯის მიერ შვიდ წლიან პერსპექტივაში დანახული განვითარების მიმართულებაა. რადგან დაგეგმვა წარმატებული საქმიანობის ერთერთი ძირითადი კომპონენტია, უნდა მოვახდინოთ რესურსების მაქსიმალური მობილიზება დასახული შედეგების მისაღწევად და თავი მოვუყაროთ ინფორმაციას კოლეჯის მიერ გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ.

ახალი სტრატეგიული განვითარების მიზნებია:

სტრატეგიული მიზანი N1 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

სტრატეგიული მიზანი N2 - სტუდენტური სერვისების განითარება

სტრატეგიული მიზანი N3 - მართვის პროცესების გაუმჯობესება და პროფესიული განვითარება

სტრატეგიული მიზანი N4 - ინფრასტრუქტურის განახლება

აზრი გამოთქვეს:

მამუკა ჭყონია: მე პირადად მიმაჩნია, რომ ყველაფერი იწყება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისაკენ მიმართული მიზნიდან. მიმაჩნია რომ ეკონომიკური წინსვლისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი მაღაალკვალიფიციური კადრების მომზადება და მიწოდებაა ადგილობრივი გაზრისათვის, რადგან სწორედ აღნიშნული გახლავთ ქვაკუთხედი ნებისმიერი ქვეყნის განვთარებისა.

რაც შეეხება ღირებულებებს, მიმაჩნია, რომ პირველ რიგში მაღალი დონის ინფრასტრუქტურის, დასაქმების ხელშეწყობისა და კარიერის დადგეგვისაკენ მიმართული სერვისების არსებობაა უმნიშვნელოვანესი.

ირმა ლომაია: აბსოლუტურად ვიზიარებ ბატონ მამუკას მოსაზრებას და დავამატებ, რომ შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების, მათი დასაქმებისა და თვითდასაქმების უზრუნველყოფა შესაძლებელია პროფესიული განვითარების, კარიერის დაგეგმვის სისტემის დანერგვის, ინოვაციური მიდგომებისა და ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინების გზით.

ნინო გულუა: მეც აბსოლუტურად ვიზიარებ ბატონი მამუკას და ქალბატონ ირმას მოსაზრებას და დავამატებ რომ აუცილებელია სხვადასხვა ღონისძიებებით კოლეჯის ცნობადობის ამაღლება, მსგავსი პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა როგორც საქართველოს ისე მის ფარგლებს გარეთ. საინფორმაციო და სხვა სახის ღონისძიებების/აქტივობების, დასაქმების ფორუმების დაგეგმვა და განხორციელება პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებასთან და მათი კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

შორენა კუპატაძე: მე, როგორც სტუდენტური მომსახურების უწყვეტი განათლების და კარიერული განვითარების ცენტრის უფროსი მიმაჩნია, რომ ჩვენი სერვისის არსებობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ახალი სიტყვა იქნება საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში და მისი მეშვეობით შესაძელბლობა გვექნება შევქმნათ სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, რომლიც პირველ რიგში მოწოდებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა სურვილების, უნარების, პრობლემების შესწავლისა და მათი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილებისაკენ. აგრეთვე მათი კარიერის დაგეგმვისა და დასაქმების ხელშეწყობისა და უზრუნველყოფისაკენ.

დადგინეს: მიღებული იქნას და დამტკიცდეს შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა წარმოდგენილი რედაქციით. **(მომხრე 11, წინააღმდეგი - 0)**

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორი

სხდომის თავმჯდომარე:

მამუკა ჭყონია

ხელმოწერა _____

სხდომის მდივანი:

ცისმარი ანდრიაშვილი

ხელმოწერა _____